საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-361

17/05/2018

ქ. თბილისი

შპს ,,საბპეტროლის“ ქ. ახალციხეში 900 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა (წლიური ბრუნვით 6 მილიონი ლიტრი ბენზინი და 12 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავი) და 90 $მ^3$ მოცულობის მიწისქვეშა ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,საბპეტროლის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ახალციხეში შპს ,,საბპეტროლი-ს“ 900 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა (წლიური ბრუნვით 6 მილიონი ლიტრი ბენზინი და 12 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავი) და 90 $მ^3$ მოცულობის მიწისქვეშა ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად საცავი გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღების, შენახვისა და საბითუმო რეალიზაციისათვის. სარეზერვუარო პარკი შედგება ოთხი ვერტიკალური რეზერვუარისაგან მათ შორის: ბენზინისათვის თითო 100 $მ^3$ და 200 $მ^3$ რეზერვუარი და დიზელის საწვავის თითო 200 $მ^3$ და 400 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარები .

დაგეგმილია წელიწადში 6 მილიონი ლიტრი ბენზინისა და 12 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და საბითუმო რეალიზაცია.
გამოყენებული იქნება საწვავის სარკინიგზო ჩიხიდან მისაღები და ესტაკადით ავტოცისტერნებში გადასატვირთი 100 $მ^3$ სიმძლავრის ტუმბოები.

ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას. ავტოგასამართი სადგურისათვის დაგეგმილია მიწისქვეშა სარკოფაგში დიზელის საწვავის ერთი 60 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარისა და 30 $მ^3$ მოცულობის ბენზინის რეზერვუარის განთავსება. რეზერვუარებზე მოეწყობა სასუნთქი მილები და სარქველები.

სარეზერვუარო პარკისა და ავტოგასამართი სადგურის მოწყობისათვის შერჩეულია 795 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც

წარმოადგენს შპს „საბპეტროლის“ საკუთრებას. საპროექტო ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 85 მ-ით, ხოლო საავტომობილო გზიდან 125 მ - ით. ტერიტორია მდ. ფოცხოვისწყალიდან დაშორებულია 125 მეტრით, პროექტის შესაბამისად ტერიტორიაზე საცავების მშენებლობა დაიწყო 2017 წლის მაისში და დასრულდა 2017 წლის ბოლოს, ხოლო ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის ბოლოს და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია.

სარეზერვუარო პარკის ტერიტორია უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, საცავის ტერიტორიაზე განთავსებულია წყლის რეზერვუარი. სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე მოეწყობა ხანძარსაწინააღმდეგო კომპლექსი და სანიაღვრე წყლების გამწმენდი. საწარმო ისარგებლებს ქალაქის საკანალიზაციო სისტემით.
გამომდინარე იქიდან, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ახლოს არ ფიქსირდება სხვა საწარმოები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
სარეზერვუარო პარკის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ხმაური და გარემოს დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს ტურბოდანადგარების მუშაობამ და სატრანსპორტო საშუალებებმა, რომლითაც მოხდება ნედლეულის ტრანსპორტირება.
საქმიანობის განხორციელების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების გაფრქვევით. რაც შეეხება ავარიულ სიტუაციებსა და კატასტროფებს, საჭიროა ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება.
საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის .

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე და</u> ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (07.12.2017 N 1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, შპს ,,საბპეტროლის“ ქ. ახალციხეში 900 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა (წლიური ბრუნვით 6 მილიონი ლიტრი ბენზინი და 12 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავი) და 90 $მ^3$ მოცულობის

მიწისქვეშა ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;

2. შპს ,,საბპეტროლი“ ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საბპეტროლს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ საბპეტროლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ახალციხის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი